№ 196 სექტემბერი 12, პარასკევი 1886 სექტემბერი 12, პარასკევი № 196

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და კრიჭეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 11 სექტემბერი

ჩვენი წერილები ხიზნობის თაობაზედ სავსე არ იქნება, რომ არ მოვიყვანოთ ცნობანი მასზედ თუ— სულ რამდენი კომლი ხიზანია საქართველოში, რამდენი მიწა უჭირავთ და რამდენი გადასახადი მოსდით დღიურ მიწაზედ და სხვა ამ გვარი. ეს ცნობები მოგროვილია მთავრობისაგან *) და შედგენილია სიები. ამ სიებიდამა სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზედ დგანან: გორის მაზრაში – 3250 კომლი, ბორჩალოსაში — 1123 კომლი, დუშეთისაში — 940 კომლი, ტფილისისაში—449 კომლი, თელავისაში—64 კომლი და სიღნაღისაში—9 კომლი. ამას გარდა სახასო მამულებზედ დგანან თელავისა და სიღნაღის მაზრაში 354 კომლი. ამ სახით, გარდა უმამულო ხიზნებისა, სულ 5977 კომლი ხიზანია ტფილისის გუბერნიაში, განთავისუფლებულნი ყმები კი სულ 16,425 კომლი იყო, ასე, რომ ამ რიცხვის შედარებით ხიზნები 36% წარმოადგენენ; უმამულონიც რომ მივათვალოთ სულ 6153 კომლი ხიზანი იქნება. ამ 6153 კომლიდამ, მინამ ბატონ-ყმობა გაუქმდებოდა, სულ 4685 კომლი ხიზანი იყო და ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ 1468 კომლი ახალი ხიზანი მოემატა. ამ ხიზნებ შორის 3195 კომლი ნაყმევთაგანნი არიან და დანარჩენნი 2958 კომლი თავისუფალნი გლეხნი.

ამ რიცხვიდამ 1577 კომლი ხიზანი გადასახადს ფულად იხდიან. ამათგან არიან: 1) გორის მაზრაში სულ 717 კომლია და უჭირავთ 156 დღიური სასახლე ადგილი და ვენახები და 8,110 დღიური სახნავი და სათიბი მიწა. აქ მთავრობის გამოკვლევით თითო დღიურზედ ხიზანს წლის გადასახადი მოსდის შვიდ აბაზ-უზალთუნი, გარდა სახლის ადგილისა და ტყისა და საძოვრისა. სასახლის ადგილზედ დღიურზედ სამი მანათია და ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანათი ორთა შუა რიცხვით. 2) დუშეთისაში—261 კომლია, უჭირავთ 80 დღიური სასახლის ადგილი და 1860 დღიური სახნავ სათიბი. აქ დღიურს სასახლის ადგილზედ მოსდისთ სამი მანათი ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ოთხი მანათი და დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანათი, ათი შაური და ცხრა კაპეიკი. 3) თიანეთისაში—178 კომლია, უჭირავთ სასახლის ადგილი 34 დღიური და 1284 დღიური სახნავ-სათიბი; სასახლის ადგილზედ მოსდით სამი მანათი დღიურზედ, ტყისა და საძოვრისათვის ოთხი მანათი კომლზედ და დღიურ სახნავ-სათიბზედ მანათი და ორ-შაურ-ნახევარი. 4) ტფილისისაში—113 კომლია, უჭირავთ 50 დღიური სასახლის ადგილი და 950 დღიური სახნავ-სათიბი; სასახლის ადგილზედ მოსდით დღიურზედ სამი მანათი, ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანათი და დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანათი, სამ-აბაზ-უზალთუნი და ორ-კაპეიკ-ნახევარი. 5) ბორჩალოსაში—308 კომლია, უჭირავთ 140 დღიური სასახლის ადგილი და 5212 დღიური სახნავ-სათიბი. სასახლის ადგილზედ მოსდით დღიურზედ სამი მანათი, ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანათი, დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანათი და სამი შაური.

ამ სახით გამოდის რომ 1577 კომლს, რომელიც მამულის გადასახადს ფულად იხდის, უჭირავს 460 დღიური სახლ-კარის და ვენახების ადგილი და სახნავ-სათიბი მიწები 17,816 დღიური. გადასახადი მოსდით სახლ-კარის დღიურ ადგილზედ სამი მანათი, ტყისა და საძოვრისათვის 4—5 მანათამდე კომლზედ და დესეტინა სახნავ-სათიბზედ ორ მანათ და ხუთ შაურიდამ სამ მანათ ცხრა შაურამდე. აქ კომლზედ სახნავ-სათიბი მიწა თითქმის $11\frac{1}{2}$ დღიური მოდის და თითქმის ერთი მესამედი დღიურისა სახლ-კარისა და ვენახების ადგილი.

დაგვრჩა კიდევ მოსაყვანი ცნობანი იმ გვარის ხიზნების თაობაზედ, რომელნიც შერევნილ გარდასახადს იხდიან: ტყისა, საძოვრისა და სახლ-კარის ადგილისათვის ფულად, თუ ბეგარითა, სახნავ-სათიბისა და ვენახებისათვის ღალასა და კულუხსა. ტფილისის გუბერნიას რომ გავათავებთ, შემდეგ მოგვიხდება მოვიყვანოთ ამ გვარივე ცნობანი ქუთაისის გუბერნიის შესახებ. ვეცდებით შემდეგს ნომერში ყოველი ეს შევასრულოთ.

---

*) „Записки о хизанскомъ положенiи" გვერდი 33—36.

ახალი ამბავი

⁂ გუშინღამ, 12 საათზე საგანგებო მატარებლით ჩამოსულა ქუთაისიდამ ტფილისს ობერ-პროკურორი სინოდისა პობედონოსცევი.

⁂ ჩვენ ტფილისის საქალაქო გამგეობას როგორღაც დუმაში ვერ მოსდის საქმე. მოგეხსენებათ, რომ გამგეობამ მოინდომა საკვირაო ბაზრობა ვერაზე გაემართა ხოლმე. შესაბამი განკარგულება ხომ კიდეც მოახდინა. ერთისა და ორის თვის განმავალობაში იმართებოდ ბაზრობა ვერაზედ, ახალის ხიდის ყურთან. ეს იყო შარშან შემოდგომას. ქალაქმა საკმაოდ ფული დახარჯა, ყორღანოვის მამული, ასე თითქმის ორის დღიურის სივრცისა, გასწმინდა და მოაშანდაკა, გააკეთა საგანგებო ფარდული, სულ თუჯის ბოძებითა და მორთულობით. ახლო-მახლო მამულის პატრონებმა, იმ იმედით, რომ ხეირი დიდი გვექნებაო, დუქნები ააშენეს, თვით მედუქნეები და ვაჭარნი საჩქაროდ შეეკვრნენ პირობითა ამ დუქნის პატრონებსა და დიდი ქირა მისცეს. ეხვეწებოდნენ, ათის წლის ვადით შეგვეკარით პირობითაო, მაგრამ დუქნების პატრონები ინაზებოდნენ და მხოლოდ ხუთის წლის ვადით

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

ალფრედი შევიდა ექიმის სასტუმრო ოთახში, სადაც ავად-მყოფნი ისხდნენ და ექიმის გამოსვლას ელოდნენ. ეს ოთახი სავსე იყო სხვა-და-სხვა გასართობის ნივთებითა,—კაცს ეგონებოდა მუზეუმიაო. ექიმი ლუვე იმ გვარ მსწავლულთა წრის კაცი იყო, რომელნიც მაღალის საზოგადოების ხალხს უფრო ჰგვანან. მსწავლული ექიმი დილით სამკურნალოში მიდიოდა, მერე ავად-მყოფებს ინახულებდა ხოლმე თავის სახლში და საღამოზე, როგორც უქმი კაცი, დროებას ატარებდა მაღალ საზოგადოების რომელსამე დარბაზში. ამიტომ ამ გვარი ხალხი სცდილობს ასე მოაწყოს თავისი სასტუმრო ოთახი, რომ მაღალ საზოგადოების ავად-მყოფნი კაცნი თუ ქალნი არა ჰთაკილობდნენ შიგ ყოფნასა და ცოტათი მაინც ჰგვანდეს თვით იმათ სახლის მოწყობილობასა. ალფრედს როგორღაც ეხამუშებოდა ამ დიდს დარბაზში ყოფნა. ალფრედი ათვალიერებდა ამ დარბაზსა, მის დიდრონს ფარდებს, ჩუქურთმით მორთულს კედლებსა და სურათებსა და გულში ამბობდა, რომ ეს ოთახი უფრო მაღალის საზოგადოების სალხენად არის მოწყობილი, ვიდრე იმისათვის, რომ კაცმა აქ სენით ტანჯულთა ბედზე ითათბიროსო. ექიმის კაბინეტში რომ შევიდა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, იმიტომ-რომ ამ ოთახში წიგნების მეტი არა იყო-რა. აი ასეთი ხერხიანი კაცი იყო ექიმი ლუვე და განგებ ჰქონდა ასე სხვა-და-სხვა გვარად მოწყობილი სასტუმრო ოთახი და კაბინეტი. ლუვე კარგი გამომრკვევი იყო ავად-მყოფობისა. თავიც კარგად ეჭირა. ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი იყო, თეთრ-ყირმიზი და ქერათმიანი. სახის იერი ვალუათა შთამომავლობის სახეს მოგაგონებდათ, და ისეთი მჭრელი, შავი თვალები ჰქონდა, თითქოს კაცის გულში იხედებაო.

— რასა იქს თქვენი მეუღლეო? იკითხა მან თავისებურად თავაზიანკადნიერებით.

— მაგის პასუხი თქვენთვის უნდა მეკითხა, ექიმო.

— მერე რატომ თვითონ არ მობრძანდა? ჰკითხა ექიმმა ალფრედს.

— იმან არც-კი იცის, რომ მე თქვენთან წამოვედი. ძალიან მაწუხებს იმის ამბავი. თქვენ იცით იმისი მდგომარეობა... ამ ბოლოს დროს ხშირადა ჰხედავდით...

ექიმმა თვალები ბეცსავით მოხუჭა და ისე უგდებდა ყურს ალფრედის ლაპარაკს. მართალია, ექიმი ერთობ თავს კარგად იჭერდა და მიჩვეულიც იყო მუდამ დღე ისეთის ხალხის ლაპარაკსა, რომელიც მძიმე ავად-მყოფობის შიშით ყოველ-გვარს ფარისევლობას ივიწყებს,—მაგრამ ალფრედის ლაპარაკზედ კი ვერ მოითმინა და სხვა ნაირად შეათამაშა თვალები. თუმცა ეს შეთამაშება თვალისა ერთის წამის საქმე იყო, საწყალს მაზელს მაინც შეუნიშნელი არ დარჩა, რადგანაც თვალს არ აშორებდა ექიმის სახეს. ალფრედს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სახეზედ ცვლილება რომ შენიშნა ექიმსა და უნდოდა ეკითხნა: „როდისა ჰნახეთ ჩემი ცოლიო?" მაგრამ ამისი კითხვა არ შეიძლებოდა. ექიმმა კიდეც დაიწყო ლაპარაკი: „უკანასკნელად, მე რომ თქვენი მეუღლე ვნახე, ასე მეჩვენა, რომ იმას უფრო ძარღვების სისუსტე მოსდის"...

ექიმმა გააბა აქ ლაპარაკი ქალის აგებულების სინაზეზე და უფრო იმას ამტკიცებდა, რომ ელენე სოფელში სხვა ცხოვრებას იყო მიჩვეული და პარიჟში კი სხვა ნაირი ცხოვრებააო. მართალია, ალფრედი დიდი დამკვირვებელი კაცი არ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მიჩვეული იყო გარკვეულს სჯასა, ადვილად შენიშნა, რა მიხვეულ-მოხვეულად ლაპარაკობდა ბ-ნი ექიმი და ამიტომ ჰკითხა:

— არაფერ დარიგებას არ მომცემთ მე, ექიმო, ვითარცა ელენეს ქმარსა?

— არაფერსაო, — სთქვა პასუხად ღიმილით ექიმმა. მაგრამ არა, ერთი რამ უნდა გირჩიოთ: რაც შეიძლება მეტად გაართე ჩვენი მშვენიერი ავადმყოფი და რაც შეიძლება ეცადე, რომ არაფინ არ აწყენინოს...

ალფრედს გული დაეწვა. როცა ლივრეით მოსილი მოსამსახურე პალტოს აცმევდა ალფრედს ტალანში, მას უკვე ჰღრნიდა ასეთი ფიქრი: ელენემ მომატყუაო ექიმს არ აუკრძალავს და არ უთქვამს მისთვის, ქმართან ნუ იცხოვრებო. ეტყობა მოვძაგდი, მაგრამ რა დაუშავე განა სამაგისოეო?

რა დაუშავა სამაგისო? დიდი სევდა შემოაწვა ალფრედს ლუვეს ნახვის შემდეგ. ელენეს თავის დარდისა არა უთხრა-რა: რიღასთვის დავტანჯო უფრო მეტადაო? ელენე რომ იტანჯებოდა, ალფრედი ამას თვალითა ჰხედავდა. მაგრამ რა იყო ამ ტანჯვის მიზეზი? ალფრედი ცდილობდა გაეხსენებინა, დანაშაული რამ ხომ არა მაქვს-რა ელენეს წინაშეო. უფრო ძრიელ ის აწუხებდა, რომ თავის ცოლის ხასიათი არ იცოდა. ამას ცხადად ჰხედავდა ამ ჟამად... ეს მწუხარება მეტად ძრიელი მწუხარებაა ცოლის მოსიყვარულე ქმრისათვის. როცა ელენე ალფრედთან ახლო იჯდა და თავის ხელ-საქმეს აკეთებდა,— ეს კაცი შესცქეროდა ქალს და თავის თავს ეკითხებოდა: რასა ჰფიქრობს ეხლა ელენეო? თავისი აღმატებული და დიდი სწავლა-განათლება ვერაფერს ვერა ჰშველოდა ალფრედს, როცა ამ ხმა-გაკმენდილ არსებასთან ახლო იჯდა და როცა იმასთან ახლო-ყოფნა უცნაურად აღელვებდა ალფრედის გულს. და თუ ამ დუმილის დროს მოვიდოდა არმანი, ძალაუნებურად შეადარებდა ხოლმე თავის ქცევას არმანის ქცევასთან და ჰხედავდა, რომ მისი მეგობარი თამამად და თავისუფლად იქცეოდა ელენესთან და თავად კი მეტად უხერხულად ჰგრძნობდა თავსა. ალფრედს ძალიან ეძნელებოდა ლაპარაკი ელენესთან, არმანი კი თავისუფლადა და მოურიდებლად ლაპარაკობდა; ელენესაც ესევე მოსდიოდა ფიქრად, იმიტომ-რომ მხოლოდ არმანის ლაპარაკის დროს გამოერკვევოდა ხოლმე და ყურადღებით ისმენდა ყველაფერს, რასაც-კი ლაპარაკობდნენ. ბოლოს არმანის სიარულმა თავი მოაბეზრა ალჶრედსა; კაცი ჰგრძნობდა განურკვეველად, რომ თითონ მეტი ბარგი იყო თავისავე სახლში. რამდენჯერმე შენიშნა, რომ, როგორც-კი სახლში შევიდოდა, მაშინათვე შესწყდებოდა ხოლმე ლაპარაკი არმანსა და ელენეს შორის. სწორედ ამ დროს დაიწყობდა ხოლმე ალჶრედი განყენებულ სჯასა და ლაპარაკსა, რადგანაც არ უნდოდა, რომ აჰყოლოდა ამის გამო გაღვიძებულს გრძნობას გულის-ტკენისასა. ალჶრედი ატყობდა, რომ მისი ძველი მეგობარი ელენეს მეგობარი უფროა, ვიდრე ჩემიო. ეს გარემოება ძალიან სტანჯავდა ალჶრედს და თავის თავს ესაყვედურებოდა, რად ვიტანჯებიო. ამ გვარად მიეჩვია და ისე ფიქრს არ დაიწყობდა ელენეზე, რომ არმანიც

---

*) იხ. „ივერია" № 195.

შეეკვრნენ. ახლა-კი ყოველივე ეს ჩაილულის წყალს მიეცა. ბევრი ტყუილად დაილუპა და იმედებიც გაუქარწყლდა. მეიდანზე მხოლოდ შეშის ურმები სდგება დილაობით, სხვა დროს კი ცარიელია. სასწორი ტყუილად ჰკიდია მდიდრულს ფარდულში უპატრონოდ.

⁂ ბევრის ფიქრისა და ძიების შემდეგ საქალაქო გამგეობამ სხვა ადგილი მოსძებნა საკვირაო ვაჭრობისათვის. ეს ადგილია მუხრანიანთ ხიდს ქვემოთ, მტკვრის პირას, ექზარხოსის სახლიდამ დაწყობილი წისქვილებამდე. ეს ადგილი ძალიან კარგია საბაზროდ და სწორედ შუაგულიც არის ტფილისისა. ადვილად მოჰხვდება კაცი ამ ადგილს კუკიიდამაც, ავლაბრიდამაც, მთაწმინდიდამაც და სოლოლაკიდამაც. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ბორანის მაგიერ ხიდი გაკეთდეს, მტკვარზედ, მუხრანიანთ ხიდის პირ-და-პირ და ჩქარა გაიმართოს ესრედ წოდებული ციციანოვის აღმართი. ხიდის გაკეთება დიდი ხანია აზრადა აქვს გამგეობას. ამისთვის ფულიცა ჰქონდა ნასესხები, მაგრამ ეს ფული სხვაფრივ დახარჯულა სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. საქალაქო გამგეობა ჰფიქრობს იჯარით გასცეს ამ ხიდის გაკეთებაო, რომ მერე იჯარადარმა ჰკრიფოს ხიდზე გასვლისათვის ფულიო. იჯარადრად თაიროვს ასახელებენ, თუმცა ჯერ დაწვრილებით პირობანი გამოცხადებული არ არის. დაწვრილებით არა ვიცით რა აგრეთვე, მოურიგდა თუ არა გამგეობა მამულის პატრონთ საბაზროს გამართვის თაობაზე მუხრანიანთ ხიდთან. რაც უფრო მეტი დრო გავა, იქნება უფრო გაძნელდეს ეს საქმე, ამიტომ, ვგონებთ, აჩქარება ძალიან საჭირო უნდა იყოს.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობას დიდი და რთული საქმე აძევს ტვირთად. ეს საქმე ქალაქის მოვლისა და პატრონობისა, ქალაქის შემოსავალ გასავლისა და საქალაქო საქმეთა წინ გაძღოლის საქმეა. ამ გვარს რთულს საქმეს დიდი ღონე უნდა, დიდი გამოცდილება, ხერხი, მოწყობა. ხუთასსა და ექვსას ათას მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს ქალაქს წელიწადში, უფრო მეტი გასავალი. ამდენისავე და უფრო კიდევ მეტის სესხის აღების ნებაც აქვს სხვა და სხვა საჭირო საქალაქო საქმის გაკეთებისათვის, როგორც მაგალითად წყლის გაყვანა, ხიდის აგება, ქალაქის განათება გაზითა ან ელექტრონითა, ისეთ საქმეთა, რომელთაგანაც შეიძლება დახარჯული ფული სარგებლით უკანვე დაუბრუნდეს ქალაქს. აი ამოდენა აურებელი საქმე აძევს ტვირთად საქალაქო თვით-მმართველობას და ქალაქის ხმოსანთა საბჭოს. ყველა ეს გამგენი, ამორჩეულნი თავიანთ მოვალეობის შესასრულებლად, უნდა იყვნენ განათლებულნი, გამოცდილნი კაცნი, უნდა გული სტკიოდეთ საზოგადო, საქალაქო საქმისათვის, რომ უფრო კარგადა და გონივრად მოუარონ საქალაქო საქმეებსა. ყველა, ვისაც ხმა და უფლება აქვს ამ გვარ კაცების ამორჩევისა, ვინც ფულს იხდის ასე თუ ისე ქალაქის სასარგებლოდ, უნდა ფრთხილადა ხმარობდეს ამ დიდს უფლებასა და თავის კენჭს დიდის მოფიქრებითა და გამორჩევით აძლევდეს ამასა თუ იმ კანდიდატსა. საქალაქო არჩევნების დრო მოახლოვებულია და ამ საგანზე ზრუნვა და ფიქრი მეტი არ იქმნება ქალაქის მკვიდრთათვის, ქალაქის ამომრჩეველთათვის. სასურველია, რომ მხურვალე მონაწილეობას მიიღებდნენ ამ საქმეში ქართველნი ამომრჩეველნიცა, მამულის პატრონნი და სავაჭრო, სახელოსნო და სხვა გვარ სამრეწველო დაწესებულების მქონენი. როცა გვეუბნებიან, თქვენს თავს თქვენ მოუარეთო, სირცხვილია, რომ გულ-გრილნი ვიყვნეთ და ჩვენის თავის მოვლა ჩვენვე ვერ შევიძლოთ.

⁂ სოფ. კაკიდგან გვწერენ, რომ იმედია ახლა კი ჩვენ არე-მარეში მოისპობა ქურდობა-მტაცებლობაო. საქმე ის არის, რომ მომიჯნავე შექელნი (ნუხის მაზრის მაჰმადიანნი) ინგილოებს არაფრად აგდებდნენ და ეგონათ, რომ რაც უნდა უპატიურობა მიეაყენოთ, ისინი ვერაფერს გაგვიბედავენო. ამის გამო ინგილოებს მოსვენებას არ აძლევდნენ და ის კი არ იცოდნენ ამათ, რომ ინგილოები ხელს არ უბრუნებდნენ არა ლაჩრობის-გამო, არამედ მოთმინებისა და კაცთ-მოყვარეობის მიზეზითაო. ინგილოებმა უთმინეს, ძრიელ ბევრი უთმინეს და ბოლოს მათი მოთმინების ძაფიც გაწყდა. მარიამობის თთვის გასულს რამდენიმე კაცი ნუხის მაზრიდგან ჩვეულებრივ გადმოვიდა და სოფელ ალიბეგლოს ნახირიდამ დღისით გაიტაცა რამდენიმე საქონელი. ეს მაშინათვე შეიტყეს სოფლელებმა, შეატყობინეს გარშემო სოფლელებსაც, შეუკრეს გზა, ერთ ადგილას შეამწყვდიეს და გარეშემო შემოერტყნენ. ჯერ სთხოვეს, რომ დამორჩილებოდნენ ნებით და იარაღი აეყარათ, მაგრამ მათ სიამაყით უპასუხეს, რომ სირცხვილად მიგვაჩნია თქვენ—ქრისტიანებს უბრძოლველად დაგნებდეთო. ბევრი ეჩიჩინნენ და ეხვეწნენ ქრისტიანენი, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. მაშინ მოთმინებიდგან გამოსულებმა ძალა იხმარეს და დაიჭირეს ქურდ-ყაჩაღნი. დაჭერის დროს ერთი ქურდი შემოაკვდათ და რამდენიმე კი შებორკილ-შეთოკილნი მოიყვანეს კაკში და აქაურს მთავრობას წარუდგინეს. ამ საქმის თაობაზე ფიცხელი გამოძიებაა დანიშნულიო.

⁂ ტფილისის „კრუჟოკს“ ვერაფერი საქმე მოსდის. ამ ზამთარს ლამის უსახლოდ დარჩეს. ის შენობა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა და მიოევის ქერივის ანდერძით ქალაქს დარჩა, ჯერ არ არის მზადაო, თუმცა ქალაქმა იტვირთა ვადაზე მისი მომზადებაო. ეს ვადა ახლა უკვე გადის, „კრუჟოკი“ ჩივილს უპირობს ქალაქსა და ჯარიმას გადაახდევინებსო.

⁂ ამ „კრუჟოკის“ სადგომში, სათეატრო სცენასაც აკეთებენ, რომელზედაც დრამატიულის ხელოვნების მოყვარულნი გაჰმართავენ სათეატრო წარმოდგენებსაო. «კრუჟოკს» სცენისათვის ფარდის სურათის დახატვა შეუკვეთნია გამოჩენილის მხატვრის ზიჩისათვის პეტერბურგს. გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ ზიჩის უკვე გაუთავებია ეს სურათიო. დახატულია თურმე მზე, რომლის სხივთ ჩაუშუქებია და გაუნათებია რაღაც ბნელი ჯურღმული, ვითომ მოწყენილ კაცთა ცხოვრებისა. მზის სხივს ჩაჰყოლიან ჯურღმულში მხიარულებითა წარმომადგენლები სხვა-და-სხვა გვარის ხელოვნებისანი. ეს ლამაზნი და ცქრიალა ღმერთანი სიყვარულისანი შემორტყმიან გარს აპოლონსა, ამ ხელოვნებათა დიდს მფარველს ძველის ბერძნებისას, ზოგნი-კი გაფანტულან და ამტვრევენ და ამჩხვრევენ ყველაფერს, რაც-კი მოსაწყენია და გამამხიარულებელი არ არის კაცისათვის. ერთს ფეხი უკრავს ბუსათვის, რომელიც ვითომ სიბრძნის ნიშანია, მეორეს დაუფხრეწია დიდი და მოსაწყენი მოხსენება ვიღაც ბრძენის კაცისა, რომელიც წიგნებსა და ქაღალდებშია ჩაფლული. ასეთი-კია თურმე იმ ფარდის სურათი, რომელიც ზიჩის დაუხატავს ტფილისის „კრუჟოკის“ სცენისათვის. გადაღება ტილოზე ამ სურათისა მინდობილი აქვს ჩვენს ახალგაზდა მხატვარს ბ-ნს ა. ბერიძესა.

⁂ ამავე გაზეთს სწერენ, რომ ღვთის-მშობლობის დღეობა ბადორნოში, არაგვის პირს უჩხუბრად არ გადარჩა წელსაცაო. მოჩხუბარნი დაერივნენ ერთმანერთს ჯერ კეტებითა და მერე ხანჯლები იძრესო. ჩხუბში დედაკაცები ჩაერივნენ და ამათ უფრო ცეცხლზე ნავთი დაასხესო. კარგია კიდევ მალე გააშველეს ზოგიერთა კეთილმა ხალხმა, თორემ ბევრი მოკვდებოდა ამ ჩხუბშიო. მაინც დაჭრილნი ორთავე მხრივ ცხრა კაცზე მეტნი არიანო.

⁂ სამზღვარ გარეთაც მიაქციეს თურმე ყურადღება ჩვენებურის ნავთის საქმეს. რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთიდამ წამოსულა ჩვენში ადგილობრივ ამ საქმის გამოსაკვლევად სენატორი ბ-ნი დიც—მონენი.

არ წარმოედგინა გონებაში. მართალია, ჰფიქრობდა იმაზე, თუ რა ურთიერთობაა არმანსა და ელენეს შორისაო, მაგრამ თან ყოველის ღონის ძიებით სცდილობდა დაეთრგუნა ყოველივე ეჭვი, რომელიც უნებურად ჩნდებოდა მის გულში. „ელენეო,—ამბობდა თავის თავად,—პატიოსანი ქალიაო; არმანიც პატიოსანი კაციაო. რა ნება მაქვს შეურაცხ-ვყოფდე ამ ხალხს ეჭვიანობითაო? არმანს მოსწონს ელენე... მაგრამ განა მე თავად არ ვიყავ ამისი მონატრულიო? ქალიც შეჩვია და დაუახლოვდა კაცს,—და განა რატომ არ უნდა მომხდარიყო ასე? ნუ თუ პატიოსანი ამხანაგობა არ შეიძლება კაცსა და ქალს შუა?“ თუმცა ასეთი საბუთები ზედი-ზედ მოსდევდა ერთმანერთსა, მაგრამ ეჭვიანობა ალფრედისა თან-და-თან უფრო მატულობდა და ძლიერდებოდა.

გ. უ—ძე

(შემდეგი იქნება)

ნიშნობისა და ქორწინების ჩვეულებანი ჯავახეთში.

ჯავახმა, როდესაც ვაჟი-შვილის დანიშნვა უნდა, ჯერ მოციქული უნდა გაუგზავნოს ქალის პატრონს და შეუთვალოს, რომ ესა-და-ეს კაცი ქალსა გთხოვს თავის შვილისათვისაო. მაგრამ ასრე ადვილად ქალის პატრონი არ დასთანხმდება და არ დაანიშვნინებს ქალსა, რაიმე მიზეზს მოიგონებს და ეტყვის მოციქულს, რომ ჯერ დროება არა მაქვს, ხვალ მოდიო და მანამ ჩემს სახლობასაც მოველაპარაკებიო. დანიშნულ დღეს მოდის მოციქული ქალის პატრონთან და ჰკითხავს: ნამდვილად შემატყობინე, ქალს მოგვცემ, თუ არაო. ქალის პატრონი კიდევ რაღაც მიზეზებს მოიგონებს და საქმეს სხვა დროისთვის გადასდებენ. ესრე რამდენჯერმე უნდა მოვიდეს მოციქული და ისევ გაბრუნდეს და შემდეგ ძლივ-ძლივობით მორიგდებიან. აქ სირცხვილად ითვლება, რომ მოციქულის პირველსავე მოსვლაზედ დაეთანხმნენ ქალის მიცემას. როდესაც მოციქული ნამდვილად გაარიგებს საქმეს, მაშინ დაბრუნდება და ახარებს ვაჟის პატრონს. ვაჟის პატრონიც ამას თავის გასამრჯელოს მისცემს და საქმე გარიგებულია.

ახლა ვაჟის პატრონი უნდა შეემზადოს საპატარძლოსთან წასასვლელად და ნიშნობის გადასახდელად. შეჰყრის რამდენსამე მეზობელს და მოკეთეს,—თავის სამზადისით ესტუმრება სამოყვროს (სასიძო არ მიჰყავსთ ქალთან, რადგანაც ჩვეულება არ არის და სირცხვილადაც ითვლება). მივა თუ არა ვაჟის მამა, შეიწვევენ ცალკე გამზადებულ დარბაზში, ხოლო თუ ზამთარია «ოდაში», ესე იგი საზამთრო სახლში. პირველში სასძლო არ ეჩვენება. როდესაც ჩაის დალევენ (უჩაიოთ არ შეიძლება ნიშნობა ჯავახეთში, რაც უნდა შეუძლებელი გლეხი იყოს.), საპატარძლოს შემოიყვანენ თავდახურულს. სასძლოს პირზედ «ჩალყათი» აქვს ჩამოფარებული. «ჩალყათი» არის აბრეშუმის დიდი წითელი ბაღდადი. სასძლო მიჰყავთ მოსულ მოყვრების ხელზედ დასაკითხავად. რასაკვირველია, „ჩალყათ“ ჩამოფარებული სასძლო ვერას დაინახავს და ვერც სხვა დაუნახავს სახეს სასძლოსა, თუ პირ-ახდილი მიიყვანეს სასძლო სამამამთილოსა და სხვა სტუმრებთან, ქალს სახელი გაუტყდება და დასძრახავენ, რომ ურცხვია და სამამამთილოს პირ-ახდილი ეჩვენებაო. სასძლო მარტო არ წარსდგება მოსულ სტუმრებთან. მას წინ მიუძღვის მეთარე, თარის კვრითა და სიმღერით; მეთარეს მისდევს ორი კაცი, რომელთაც ხელით ტაბლა მიაქვსთ. ტაბლაზედ ქადები, ქათამი, ქიშმიში და ერთი ბოთლი შეღებული არაყი სდგას და ზედ სამი სანთელი ანთია. ამათ უკან მისდევს თვით სასძლო და ერთი ქალი, რომელიც წინ უნდა მიუძღვეს და დააკითხოს მოსულ მოყვრებს ხელებზედ. მეთარე შევა სიმღერით და საჩუქარს მოითხოვს სტუმრებისაგან; სტუმრები საჩუქარს მისცემენ. შემდეგში ტაბლას დასდგამენ შუა ოთახში. ჯერ სასძლოს თანამხლებელმა თითონ უნდა დაუკითხოს ხელებზედ სტუმრებს და შემდეგში სასძლომ. როდესაც გაათავებენ დაკითხვას, საპატარძლო და მხლებელი ქალი კარებთან უნდა დადგნენ. ამის შემდეგ ადგება ერთი შინაური კაცი საჩუქრის მოსაგროვებლად. ამ კაცს ხელში უჭირავს სპილენძის თასი, თასზედ სძევს ერთი ფურნის ლავაში და ამ ლავაშზედაც ერთი დახეული ქაღალდი სძევს, ვითომდა ბრძანებააო. ეს კაცი წარსდგება სტუმრებთან და იტყვის, რომ ბრძანება არის ხელმწიფისაგან მოსული, რომ მახტა-ფოსტის ფული უნდა მოიკრიფოსო და ძველი „ნედოიმკები“ მოსულ სტუმრებზედ დარჩენილიო. ეს არის შესაწევარის თხოვნა სტუმართაგან სასძლოსა და მისის მხლებელის ქალის სასარგებლოდ... ვინც რამდენს გამოიმეტებს, იმდენს შესაწევარს გამოიღებს; გარდაწყვეტილი გარდასახადი არ არის დანიშნული, თუმცა ზოგჯერ ესე მოგროვებული ფული ათი თუმანი და უფრო კიდევ მეტი შესდგება ხოლმე. ამ ფულის უმეტესი ნაწილი სასძლოს ეკუთვნის. ამას რომ მორჩებიან, დასხდებიან სადილად. მოიტანს მასპინძელი მოყვრისაგან მოტანილს სასმელს, ქადებსა და საკლავს; გამოიტანენ აგრეთვე რძლისთვის რაც ტანთ-საცმელი მოუტანია სამამამთილოს და დაიძახებენ: «აშენოს მოყვარე, მოურთმევია რძლისათვის ათი თუნგი არაყი (მაგალითად ვამბობთ), ასი ქადა, ერთი კაი საკლავი (დაკლული და გატყავებული) და ერთი ხელი კარგი ტანთ საცმელი. შემდეგ დაიწყობა ნადიმობა და სადღეგრძელოების სმა. სვამენ მწარე არაყს. (არაყს აქ ბევრსა სმენ; როცა შეზარხოშდებიან, ჩაის ჭიქით დაიწყებენ ხოლმე არყის სმასა).

მესამე დღემდინ სტუმრები სახლში არ წავლენ. მესამე დღეს, ე. ი. წასვლის დღეს სასძლომა და მისმა თანამხლებელმა ქალმა, სტუმრებს უნდა დაჰბანონ თავი. უნდა ვსთქვათ, რომ სადილის დროს რამდენჯერაც სამამთილო არაყს დაჰლევს, იმდენჯერ ხელზედ უნდა მოუკითხოს სასძლომა. სასძლო სადილის დროს სტუმრებს თავს უნდა ადგეს და, როდესაც სადილს გაათავებენ, ხელზედ უნდა დაუკითხოს. ასე უნდა მოიქცეს თანამხლებელი ქალიც. ამითი თავდება ნიშნობა.

ქორწინებაზედ საიმისო შესანიშნავი ჩვეულება არა აქვთ-რა. ნეფე თავის მეჯვარით და მაყრიონით წავა ჯვარის-წერის წინა დღეს სასძლოსთან. პატარძალი პირ-ჩამოფარებული უნდა იყოს ქორწინების დროსაც. ქალის მამა მიიყვანს თავის სიძეს პატარძალთან და ჩააბარებს. ამის შემდეგ მოემზადებიან ეკკლესიაში წასასვლელად და ჯვარის დასაწერად; ქალს ამ დროს ჩამოფარებული აქვს პირი-სახე და ეკკლესიაშიაც პირ-ჩამოფარებული უნდა იყოს. დასწერს მღვდელი ჯვარს თუ არა, ნეფე-დედოფალი გამობრუნდებიან ქალის მამის სახლში, სადაც სადილია გამართული. სადილს შემდეგ დაიწყობა ქალის მზითევის ჩამოთვლა ამ გვარად: აშენოს ღმერთმა პატარძლის მამა! თავის ქალს ატანს მზითევად (მაგალითად მოგვყავს): ერთს სკივრს (ხის უბრალო კიდობანია), ერთს ხელს ლოგინს (ლოგინი ჯავახეთში სულ ბუმბულით არის გაკეთებული; ლეიბში მატყლის მაგიერ ბუმბულსა სდებენ.), ერთს ხალიჩას, ერთს ფარდაგს, თუნგს, ტაშტს და სხვა ამ გვარ სპილენძეულობას. ამის შემდეგ იწყობა მეზობლებისა და ნათესავების შესაწირავის ჩამოთვლა. ეს უკანასკნელნი სპილენძეულობასა, წინდა-პაჭიჭს და სხვა ამ გვარ შესაწევარს გადაელენ ხოლმე. როცა ნეფის სახლში მიელენ, აქაც ნადიმობა და სმაჭამა გაიმართება. აქაც იციან შესაწირავი ნეფისა და პატარძლის სასარგებლოდ. ქორწინების დროს რამდენს ხანს გასტანს ნადიმი, ეს კაცის შეძლებაზეა და სიმდიდრეზედ: მდიდარი ოთხ დღესა ნადიმობს და ღარიბი ორსა და ან სამს დღეს.

კარანთელი

⁂ რუსეთის ტრაპიზონელ კონსულის მოხსენებიდამ სჩანს, რომ ტრაპიზონით ძალიან უკლია წელს სამზღვარ-გარეთის საქონლის გადატანას სპარსეთში. გადაუტანიათ 1884 წელს ნახევარ მილლიონ ფუთ საქონელზე მეტი, ფასად 8,222,598 მანათისა, ოქროს ფულით. 1885 წელს-კი — 6,594,388 მანათისა, ესე იგი შარშანდელზე 1,628,201 მანათით ნაკლები. 1885 წელს გადატანილის საქონლის ფასი ნაკლებია იმაზედაც-კი, რაც 1882 წელს გადაუტანიათ, ნაკლებია 862,687 მანათითა. ხოლო მაშინ ხომ ტრანზიტი არსებობდა ჯერ ისევ ამიერ-კავკასიაში და საქონელი ბათუმიდამ და ფოთიდამ პირ-და პირ მიჰქონდათ სპარსეთს. ამ გარემოებას აბრალებენ სპარსეთის ვაჭრების გაკოტრებასაო. („Вѣст. фин., торг. и пром.“)

ნაკვესი

რამდენსამე ყმაწვილ კაცს ქართული სადილი გაემართებინათ და ქეიფობდნენ. ანტონ ლორთქიფანიძეც იქ იყო.

„მოთალი, თევზი, მწვანილი აუქრელებდენ წინ სუფრას.“

მოვიდა ბეჭი, ზედ მოჰყვა ჩიხირთმა, ჩიხირთმას მოჰყვა ფლავი.

ანტონ ფლავის ეშხმა უფრო წაიღო და ისე სხაპა-სხუპით დაუწყო ჭამა, რომ კარგა მოგძო ბეწვი გადაყლაპა, წავლო ბეწვს ხელი, ამოსწია, ამოსწია და, რომ ძალიან გაგრძელდა, თითონაც გრძლად სთქვა:

— ვიიიჰ! ქართულად არის გაკეთებულიო.

ლელო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოსკოვის გაზეთი ძალიან განრისხებულა ბოლგარიის ეხლანდელს მთავრობაზე და უფრო მეტად ზოგიერთს მის წარმომადგენელზე. ქარ-ტეხილის ძლიერებით ებრძვის ეს მოსკოვის გაზეთი ყველა ბოლგარელსა და არა ბოლგარიელს, რომელიც-კი ალექსანდრე ბატენბერგის სასარგებლოდ ან ამბობს და ან მოქმედობს რასმე. დღევანდელი მეთაური წერილი გაზ. „Моск. Вѣд.“-ებისა შესანიშნავია ამ მხრით.

> საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, როცა პირველად 9 აგვისტოს არეულობა მოხდა სოფიაშიო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი. არავინ წინააღმდეგი არ იყო, რომ ბატენბერგი ტახტიდამ გადააყენეს. ჯარი დამორჩილდა ახალს დროებითს მთავრობას, რომლის მოთავედ იყვნენ: ცანკოვი, ბურმოვი და გრუევიო. მაგრამ აი რა მოხდა შემდეგ. როცა სოფიაში ყველას თავ-გზა დაებნა და ფაცა-ფუცი შეუდგათ, ტირნოვოში იჯდა ბატენბერგის ყურ-მოჭრილი ყმა სტამბულოვი და ამან გამოაბრუნა წაგებული საქმე ალექსანდრე მთავრისა. სტამბულოვმა ჩაიგდო ხელში ტელეგრაფი ტირნოვოსა და ბელში და ყოველივე გზა შეუკრა სოფიის მთავრობასა. იმის დეპეშებსა ჰხევდა და სამაგიეროდ თავის საკუთარს დეპეშებსა ჰგზავნიდა აქეთ-იქით მთავრობის სახელობითაო.

უზომოდ გულ-მოსული გაზეთი ამბობს შემდეგ, რომ ის კაცი, რომელიც ეხლა პირველი კაცია ბოლგარიაში, ოდესის სასულიერო სემინარიის შეგირდი იყო, მესამე კლასიდამ გამორიცხული «ნიგილისტობის» გამოვო, პოლიტიკურ დანაშაულობაში გარეული და შეურიგებელი და გაბოროტებული მტერიაო. ამიტომ აამაღლა ეს ყოვლად მდაბალის ზნეობის კაცი ალექსანდრე ბატენბერგმა და ხელში ჩაუგდო უზენაესი ხელმწიფება ქვეყნისაო.

> მართალია ბატენბერგი-კი წავიდა ბოლგარიიდამ, — განაგრძობს გაზეთი, — მაგრამ „ბატენბერგია“-კი დარჩა ამ ქვეყანაშიო. ბატენბერგმა ისეთი ხალხი ამოარჩია და შეადგინა სარეგენტო მთავრობა, რომელთაც არავინ არ ენდობაო. ამ მთავრობის უფროსად დააყენა სტამბულოვიო. როგორიც უნდა იყოს თვით ალექსანდრე ბატენბერგი, მაინც ისევ ის სჯობიან სტამბულოვს და მის დამქაშებსაო, რომელთაც ხელში აქვთ ეხლა უზენაესი გამგეობა ქვეყნისა და ყოველ-გვარი ღონე მოტყუებისა და ძალმომრეობისაო. უარესობა და საძაგლობა მათი კიდევ ის არის, რომ თან კიდევ რუსეთს ელაქუცებიან. ამით უნდათ მოატყუონ ბოლგარებიცა და ჩვენც ვითომ თვალები აგვიხან. ბოლგარიის საქმე ალექსანდრეს პრინცის კერძო საქმედა ჰსურსთ გაჰხადონ: ბოლგარიის მამულის შვილობით გატაცებულს მთავარს არ უნდოდა უსიამოვნობა რამ შემთხვევოდა იმის საყვარელს ერს და ამიტომ თავის ნებით უარ-ჰყო მთავრის გვირგვინიო, — ამბობენ ისინი. მაგრამ მისი სული კვლავ დასტრიალებს ბოლგარიასაო; გამგეობა ბოლგარიისა იმის მომხრეთა ხელშიაო; ესენი მეტის მხნეობით ეცდებიან არ შეაფერხონ მისგან დაწყობილი საქმეო, მით უმეტესს, რომ რუსეთს საბუთი აღარა აქვს გაერიოს ბოლგარიის საქმეებში, რაკი მთავარმა ასეთის დიდ-სულოვნობით უარჰყო გვირგვინი და მაშასადამე დააკმაყოფილა ეს ქვეყანაო.

ნუ თუ ჩვენ შეგვიძლიან მოვითმინოთ, რომ ასეთი ხალხი ბოლგარიის ბედის გამგებლად იყოსო? ათავებს თავის წერილს გაზეთი.

⁂

რუსეთის გაზეთები ძალიან ჩივიან, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარის ბუნების პატრონიაო, ულეველი სიმდიდრე სძევს მიწის გულშიო და შემთხვევით და ფათერაკით თუ მივაგნებთ ხოლმე ამ გვარს წყაროებს ერის გამდიდრებისასაო.

რა არის ამ სამწუხარო ამბის მიზეზიო? კითხულობს გაზეთი „Недѣля“ და პასუხად ამბობს: ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებადა გვყავს მცოდნე და მომზადებულნი კაცნიო.

> მოვიყვანთ მაგალითსაო, ამბობს შემდეგ გაზეთი. როცა ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ჩვენ სოფლის მეურნეობას საშინელი მტერი ეწვია და მრავლად გაჩნდა სხვა-და-სხვა მავნებელი მწერიო, ჩვენ მივმართეთ ამ მწერთა მცოდნეთა, ესრედ-წოდებულს ენტომოლოგებსაო და სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ მთელს რუსეთში მხოლოდ ერთად ერთი ენტომოლოგი იყო, ბ-ნი ლინდემანიო. ამ ერთმა კაცმა დაიწყო სიარული მთელს რუსეთში და ებრძოდა ახალს მტერს მიწის მოქმედისას, მაგრამ ერთი კაცი ქამაშიაც-კი ბრალია და რას გაარიგებდა საიმისოსაო. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ აუარებელი სიმდიდრე იყოს დედა-მიწის გულში დამარხული და ჩვენ არ ვიცოდეთ მისი არსებობა, ვიდრე რაიმე შემთხვევით ზედ არ წავადგებით ამ გვარს განძსაო.

ჩვენც დავეთანხმებით გაზეთს, რომ სამწუხაროა ეს ამბავი, მაგრამ წუხილითა და ვიშითა საქმეს არა ეშველება-რა.

⁂

იმ უმაღლესის ჯილდოს გამო, რომლის ღირსიც შეიქმნა რედაქტორი გაზ. „Московскія Вѣдомости“-ებისა, ესევე გაზეთი ამბობს შემდეგს:

> მეფის წყალობას, რომლის ღირსიც შეიქმნა დირექტორი ცესარევიჩის ნიკოლოზის ლიცეისა და გამომცემელი ამ გაზეთისა, კერძო მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ. მეფის სიტყვა და წყალობა ამტკიცებს, რომ აი ასეთი და ასეთი აზრები და სჯაა შეწყნარებულიო და ესეთი აზრები და სჯა აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც რუსეთის ყველა მოყვრესაო. უმაღლესი წყალობა 30 აგვისტოს გამოცხადებული, რომელიც ერთს ებოძა, წყალობაა ყველასათვის, ვინც-კი დარაჯადა სდგას და დამცველია რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების ჭეშმარიტო საფუძველთაო. ეს წყალობა აღაფრთოვანებს მამულის შვილთაო; სიმტკიცეს მისცემს იმათ, ვინცა ტოკავს და ყოყმანობსო; შეაკრთობს იმათ, ვინც ჩვენის ერისათვის მავნე და შეუსაბამო აზრებს ადგიაო.

უცხოეთი

ბოლგარია. კარგი ამბები არა ხდება ბოლგარიაშიო, ამბობს გაზ. „Новости“, აფიცრობა ბრძანებლობს და ძალ-მომრეობით უნდა თავისი კერპი დაიბრუნოსო. რუსეთის ქვეშევრდომებს ძალიან ცუდად ექცევიან: განთავისუფლებულნი სდევნიან თავიანთ განმათავისუფლებელთ იმ ქვეყნიდამ, რომლის გულისთვისაც იმდენის რუსის სისხლი დაიღვარა და გადაარჩინა ოსმალების საუკუნო ბატონობას. ფილიპპოპოლში ყოველ დღე ამბოხება და არეულობა ხდება და ხალხის დასამშვიდებლად სოფიიდამ ჯარებსა ჰგზავნიანო. ჯერ სიყვარულით ეალერსება რუსეთს ბოლგარიის საერო კრება და ამ სიყვარულის შემდეგ სულ ორი წამი არ გაივლის ხოლმე, რომ ერთ-ერთი დეპუტატი წამოდგება და ამბობს: ჩვენ ჩვენის მთავრის სიყვარული და ზრუნვა გვმართებსო. ამ სიტყვების თქმა და ყველა დეპუტატების ფეხზედ წამოდგომა ერთია. ჰყვირიან: „სცოცხლებდეს მთავარიო!“ როგორ მოთავსდეს მოუთავსებელიო. ერთსა და იმავე დროს ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებენ რუსეთსა და თან დიდის ალტაცებითა სთხოვენ ღმერთს მთავარ ალექსანდრეს დღეგრძელობასაო.

საზოგადოდ, საქმეები უფრო-და-უფრო იხლართება. ოსმალეთის ზღვებზედ ბრიტანიის ფლოტი დასეირნობს; ამ ფლოტს მოჰყვა იტალიის ფლოტიც და ჩქარა ყველა მეტის ლუკმის მსურველნი აქ შეიყრიან თავსაო.

ავსტრი-ვენგრიის ჯარისთვის ერთი მილლიონი მაუზერის თოფია შეკვეთილი. ავსტრი-ვენგრია ერთობ ძალიან გაცხარებულია, რადგან განთქმული რუსეთის მტერი ვამბერი სულ იმას ჩასჩიჩინებს და უმტკიცებს ავსტრიას, რომ ტყუილი იმედი ნუ გაქვსო, ინგლისი ვერაფერს გიშველის რუსეთის წინააღმდეგ და რუსეთი ადვილად დაიჭერს ბოლგარიასა, სტამბოლსა და დარდანელსაო. ეს ისე მართალია და ჭეშმარიტი, როგორც ორჯელ ორი ოთხიაო. ვამბერი თითქმის იმასვე ამბობს, რაც ჩვენ არა ერთხელ და არა ორჯელ გვითქვამსო, ამბობს გაზ. «Новости». ჩვენც ვამბობდით, რომ ოსმალეთის ბედ-იღბალი ძალიან არ აწუხებს ინგლისსა და ის უფრო ინდოეთის დარდშიაო. ვამბერი კი კიდევ თავისას გაიძახის და აფრთხილებს ავსტრიის სახელმწიფო კაცთ: ნუ ენდობით ალბიონს, ალბიონი თქვენ ვერაფერს სიკეთეს გიზამთ და დიდის სიხარულით-კი მიჰყიდის რუსეთს სტამბოლსა და სრუტეებსა, ოღონდ შუა-აზიაში ხელს ნუ შეუშლიან და თავი მიანებონ, რომ ისე მოიქცეს, როგორც თითონ უნდაო.

ტყუილადა ჰგონიათ, რომ ინგლისი და რუსეთი მორიგდნენ სრულიად და აღარაფერი აქვსთ ერთმანერთში სადაოეო. ინგლისში ძალიანა სწყინთ რუსეთის გამარჯვება და სამინისტროს გაზეთები ურჩევენ მართებლობას, რომ ეგვიპტეში ჯარები ჩააყენეთ და, იმედია, გერმანია წინააღმდეგობას არ გაგვიწევსო. ძნელი მოსალოდნელია, რომ ავსტრიამაც ხმა ამოიღოს, რადგან ისიც ეხლა სულ იმასა სცდილობს, რომ ეხლანდელი საქმეთა მდგომარეობა გამოიყენოს და სრულიად შეიერთოს ბოსნია და გერცოგოვინა და სალონიკსაც გაჰკრას თავის კლანჭი და ახლო მოითრიოსო. ავსტრიაში უკმაყოფილონი არიან სამთა კავშირის გამო, რადგან ეს სამთა კავშირი მარტო რუსეთისთვის არის სასარგებლოეო. მადიარებმა ხომ აღარ იციან, რა ჰქნან. განთქმულს ვენგრიელს დეპუტატს იულიი გორვატს ამას წინედ ერთს კრებაზე, რომელსაც ბევრი ხალხი დასწრებია, სიტყვა წარმოუთქვამს. სხვათა შორის გორვატს უთქვამს, რომ ძნელად თუ გადასწყდება ერთხელვე და სამუდამოდ, სად იუფლოს რუსეთმა და სად ავსტრი-ვენგრიამ ბალკანიის კუნძულზეო. ის ამბავი, რომ რუსეთი ფეხს იკიდებს დუნაის ქვემო მხარეში, ძალიან საწყენია ვენგრიის ერისათვისაო. ვენგრიის ერმა იმდენი გავლენა და ზედმოქმედება უნდა იქონიოს სახელმწიფოს პოლიტიკაზედ...

ყველა თავისდა სამწუხაროდ აღიარებს რუსეთის გამარჯვებასაო, ამბობს იგივე გაზეთი. «რუსეთის გამოცდილებამა და ბრძნულმა სახელმწიფო პოლიტიკამ ლამის ყველგან გაიმარჯვოსო, მწუხარებით ამბობს ბერლინის გაზ. „Tagblatt“-ი. დიპლომატთა შორის ბ-ნმა გირსმა დიდი სახელი გაითქვაო. თითქმის ტაილლერანსა, მეტტერნიხსა და ნესსელროდეს აბაძებენო. ყოველთვის, როცა კი რუსეთი ცდილობს, რომ აღმოსავლეთისკენ თავისი ინტერესები დაიცვას, პეტერბურგსა და მოსკოვში აიჩემებენ ლაპარაკსა, რომ საფრანგეთისა და რუსეთის შორის კავშირი სუფევსო. ეს ლაპარაკი ისე ეხამუშება გერმანიის დიდებულ რკინის კანცლერის ყურს, ისე აბეზრებს თავსა, რომ ბისმარკი მზად არის ყოველივე ღონის-ძიება იხმაროს, ოღონდ კი ეს უსიამოვნო ლაპარაკი ჩააჩუმოსო. ამ პოლიტიკურის ხერხისა და მალაყის მადლობელი უნდა იყოს გირსი, რომ ამ ბოლოს დროს იმისმა პოლიტიკამ ბალკანიის საქმეების გამო გაიმარჯვაო. გირსი იმ აზრისაა, რომ სჯობია ცოტა იკმაროს კაცმა და ბევრს არ გამოუდგესო. აი ამიტომ გადასწყვიტეს, რომ ბოლგარიაში რუსეთის კომისარი არ გაჰგზავნონ და ამით ხათრი შეუნახონ ავსტრიასაო.»

ამის შემდეგ გაზეთი დაასკვნის, რომ დიდად შესაძლებელია რუსეთმა სრულიად დაისაკუთროს ბოლგარიაო, თუმცა ჯერ-ჯერობით ბოლგარიისა და რუმელიის დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი დარჩებაო. ინგლისი უნდა დაჩუმდეს, ამაოდ კბილები ილესოს და ტყუილ მუქარას ითელევინებოდესო, რადგან ფეხ-ქვეშ სიმაგრე გამოაცალეს და ეხლა ველარ დაიცავს ინდოეთს ბოსფორზეო. შეიძლება, რომ რომელიმე კუნძული დაიჭიროს, ან სრულიად დაისაკუთროს ეგვიპტე, მაგრამ სალისბერის სამინისტრო რუსეთს კი ვერაფრით ვერ შეუშლის ხელსაო. ეს ამბავი ძალიან უხარიანთ საფრანგეთში და ინგლისის ამ გვარს მდგომარეობაზე გულითა ხარობენო. ამით ცოტადიც ჯავრს იყრიან 1871 წლისას, როცა ინგლისმა თავი გაანება და ცოტა გაწყდა კინაღამ სული არ ამოართვა საფრანგეთს გერმანიამ თავის რკინის ხელებითაო.

ლონდონიდამ ამბები მოდის, რომ პრინცს ბატტენბერგს ლონდონში მოელიანო. ინგლისის დედოფლის ბრძანებით, პრინცის ძმა ჰენრიხი იუგენგეიმში წავიდა და თავის ძმას ინგლისში მიიყვანსო და იქიდგან იმედი აქვსთ, ისევ სოფიაში დააბრუნონო. „კელნის გაზეთის“ ლონდონელ კორრესპონდენტის სიტყვით, დედოფალი დიდად თანაუგრძნობს პრინც ალექსანდრესაო და ამას წინედ კიდეც შეუთვალა გადაყენებულს მთავარს, რომ თუ, ვინიცობაა, ფული დაგჭირდეს, მე მომმართეო. სალისბერის მართებლობას ცოტა არ იყოს არ მოსწონს დედოფლის ასეთი ზრუნვა პრინცისათვის და ამიტომ დედოფალსაც ათვალწუნებული ჰყავს თავის მინისტრიო.

— სოფიაში მყოფი დიპლომატები დარწმუნებულნი არიანო, რომ რუსეთის კანდიდატად ბოლგარიის სამთავრო ტახტზედ არის არა პრინცი ოლდენბურგისა, არა დანიის პრინცი ვოლდემარი, არამედ მთავარია ჩერნოგორიისაო. ამიტომაც დიდს წინააღმდეგობას უნდა მოველოდდეთ ავსტრიის მხრითაო.

— აი რა მონაწილეობა ჰქონია კარაველოვს 9 აგვისტოს არეულობაში, როგორც სწერს გაზ. „Post“-ის კორრესპონდენტი: „როცა პრინცის სოფიიდამ წასვლამდე მინისტრებსა და სარეგენტოს წევრებს სჯა ჰქონდათ, სამხედრო მინისტრმა სთხოვა კრებას: ნება მომეცით, ხმა-მაღლა წაგიკითხოთ ოქმი, რომელშიაც ზენდერევის ჩვენებაა ჩაწერილიო. ოქმის პირველსავე სიტყვებზედ, რომელიც აშკარად ამტკიცებდა კარაველოვის ამბოხებაში მონაწილეობას, კარაველოვი აკანკალდა და გაფითრებული სკამზე გადაესვენაო. პრინცი, რომელსაც ოქმი წაკითხული არა ჰქონდა, წამოდგა, ზიზღით შეხედა კარაველოვს, ზურგი შეაქცია და ფანჯარაში დაიწყო ცქერაო.»

— ათინიდამ სწერენ „Standard“-სა: აქაურნი მკვიდრნი დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს ბოლგარიის საქმეებს. ამბობენ, რომ ახალს მთავარს რამდენისამე ხნის შემდეგ ამოირჩევენო. ათინის დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ ყველაზედ დიდი უპირატესობა მთავრად ამორჩევისა დანიის პრინცს ვოლდემარსა აქვსო. მით უფრო ადვილად დასაჯერებელია ვოლდემარის ამორჩევა, რომ ბერძნები უფრო ვოლდემარს

მიემხრობიან, რადგანაც საბერძნეთის მეფის გიორგის ძმააო.

— სტამბოლიდამ სწერენ „Polit. Coress.“-ს: ოსმალეთში ჰგონიათ, რომ პრინცი ვოლდემარი უფრო შესაფერი მოადგილე იქმნება ალექსანდრე ბატენბერგისა, რადგანაც პრინცი ვოლდემარი ნათესავია რუსეთისა და ლონდონის სამეფო გვარეულობისა და, იმედია, რომ სახელმწიფოები ურთი-ერთის დათმობით იმას ამოირჩევენო.

— აი რასა სწერენ სოფიიდამ „Deutsche Zeitung“-ს პრინც ალექსანდრეს შეძლების გამო: «პრინცს ალექსანდრეს დიდი შეძლება არა ჰქონდაო. თავის კერძო სასახლეების ასაშენებლად რუსჩუკსა და ვარნაში და აგრეთვე თავის ბალლი-ეფენდის მამულის განსაკარგებლად ალექსანდრემ ამ რამდენისამე წლის წინად კრების თანახმობით საერო ბანკიდამ მილლიონ ნახევარი ფრანკი ისესხაო. რადგანაც ის ვალი გადასახდელია, ამიტომ მართებლობამ 3 მილლიონი ფრანკი აძლიაო, მაგრამ მთავარმა ალექსანდრემ არ გამოართო და მხოლოდ ისა სთხოვა, რომ ბანკის ვალი გადაიხადეთო და ამიტომ ჩემს კერძო მამულებსა ვსტოვებ აქაო. თავისთვის პრინცი მხოლოდ 500,000 ფრანკსა თხოულობს და ამ ფულით განზრახვა აქვს იუგენგეიმში წავიდესო.

დეპეშა

10 სექტემბერს

სოფია. კარაველოვი და როდოსლავოვი დღეს მიგლენ რუსეთის საელჩოში მოსალაპარაკებლად იმ პასუხის თაობაზედ, რომელიც შეადგინა ბოლგარიის მთავრობამ რუსეთის ნოტის გამო და რომელიც არ მიიღო რუსეთმა. რუსეთის ნოტა თხოულობდა, რომ ბოლგარიის მთავრობამ გადასდოს გასამართლება იმათი, ვინც სახელმწიფო არეულობა მოახდინაო. ბოლგარიის მთავრობის საპასუხო ნოტაში იყო ნათქვამი: რუსეთი, სამწუხაროდ, იმიტომ ითხოვს ამასა, რომ მარტო თავის ცნობებს დამყარებიაო; შემდეგ ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ნოტას შეუძლიან ააღელვოს და მოუსვენრობა გამოიწვიოს ხალხშიო, ხოლო ბოლოს ეწერა, რომ ზემოხსენებულ დამნაშავეთა განსამართლება არ დაიწყება, ვიდრე ბარონი კაულბარსი არ მოვა ბოლგარიაშიო.

დიპლომატები იმ აზრისანი არიან, რომ ბარონი კაულბარსი განაკარგებს საქმეთა-მდგომარეობას ბოლგარიაშიო.

ბრძანება ამომრჩეველთა მოწოდების თაობაზე დიდის საერო კრების არჩევანებისთვის ხელ-მოწერილ იქმნაო. კრება 29 სექტემბრისათვის არის დანიშნულიო.

მთავრობამ დაადგინა გააუქმოს წესნი შიშიანობისაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ 297 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 202, უარ-ჰყო მეორედ წაკითხვის შემდეგ საადგილ-მამულო კანონ-პროექტი პარნელისა.

11 სექტემბერს

ოდესა. რადგანაც ვენგრიაში ხოლერა გაჩნდა, ამ დღეებში ოდესაში კარანტინი დაწესდა დუნაიის ნავთსადგურებიდგან მომავალის გემებისათვისაო.

ბუდა-პეშტი. ოფიციალურად დამტკიცდა ამ ჟამად, რომ აქ აზიის ხოლერა არისო, მაგრამ სიკვდილით კი ბევრი არ იხოცებაო: 57 კაციდამ, რომელიც სამშაბათს გახდა ავად, მხოლოდ 15 კაცი მოკვდაო.

სოფია. ნელიდოვის თხოვნით ბოლგარიის მთავრობამ შეასწორა თავისი საპასუხო ნოტა, არეულობის მომხდენთა განსამართლების შესახები. გასწორების შემდეგ ნელიდოვმა მიიღო ხსენებული ნოტაო.

სიმლა ინდოეთში. აქაურს მთავრობას არავითარი მოხსენება არ მიუღია, იმის თაობაზედ, მართალია თუ არა ხმა, რომ ვითომ ავღანელთა და ბადაშხანელთა შორის ომი და ბრძოლაა ატეხილიო.

ლონდონი. გუშინ საზოგადოებათა პალატაში მთავრობამა სთქვა: რადგანაც ამ ჟამად ბოლგარიის ყოფა ფრიად საშიშიაო, ამიტომ შეიძლება საქმე ძალიან გამწვავდესო, მაგრამ მაინც ბოლგარიის შარშანდელი გაჭირებული ყოფა ისე იქმნა აცილებული, რომ, იმედია, წლევანდელს მეტად აწეწილს საქმეებსაც მოევლოს როგორმეო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

12 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ავტონომ და თეოდორესი. ტფილისი აიღო ალა-მაჰმად-ხანმა, ქვითკირის ხიდი მტკვრისა დაანგრიეს. მეფის სასახლე გაცარცვეს. ყველაფერი მიანგრ-მოანგრიეს და დასწვეს. ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისიდამ და მცხეთიდამ მრავალნი მცხოვრებნი ტყვედ წაიყვანა. უნდოდა კახეთისკენ წასულიყო, მაგრამ რუსებისა შეეშინდა და შუშისკენ გაემართა, 1795 წ.—გამოვიდა მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე პირველისა საქართველოში ახალის მთავრობის თაობაზედ და გენერალ კნორინგის მეორის დანიშნაზე საქართველოს მთავარ-მართებლად, 1801 წ.—დაარსება ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიისა გორში, 1877 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51—58. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—55; მთვარე ამოდის 1—38, ჩადის 3—27.

13 დღე შაბათი. განახლება ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა წამება კახეთის წმ. დედოფლის ქეთევანისა, 1616 წ. სომეხ. ჯვართ-ამაღლების წინა-დღის დღესასწაული-ნავაკატიკი და ნახატონაქი. ყაზი-ყუმუხელთა და ლეკთა აჯანყება მოახდინეს სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ. დაეცნენ მდიდარს სავაჭრო ქალაქს შემახას, გასცარცვეს და დაჰხოცეს ვაჭარნი ქალაქისა და მათს შორის სამასი კაცი რუსი. მარტო რუსების ზარალი იყო ხუთი მილლიონი მანათი. ეს უბედურება იყო მიზეზი სხვათა შორის, რომ იმპერატორმა პეტრე I-მა გაილაშქრა კავკასიაში შეურაცხმყოფელთა დასასჯელად, რადგანაც შაჰი ისე სუსტი იყო, რომ ვერას არიგებდა მათ წინააღმდეგ, 1712 წ. —პასკევიჩმა სძლია სპარსებს განჯაში, 1827 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—38, ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 5—53; მთვარე ამოდის 2—47, ჩადის 4—10.

14 დღე კვირა. ამაღლება წმ. პატიოსნის უვლის ჯვარისა. მარხვაა. ამ დღეს და წინა დღეს ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო, წმ. გიორგის სახსოვრად ბევრი მლოცველი იკრიბება სარწმუნოების განურჩევლად და დიდი ბაზრობა იმართება ხოლმე. კათოლიკ. წმ. ქალწ. მარიამ. სომეხ. ხაჩვერაც (ამაღლება ჯვარისა). სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისი ალაოხრა, 1795 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51—13. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 5—51; მთვარე ამოდის 3—57, ჩადის 4—51.

15 დღე ორშაბათი. დიდ-მოწ. ნიკიტასი, ღირს. აბბა იოსესისა ალავერდელისა, 570 წ., რომელიც დამარხულია ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო. კათ. მე-8 დღე ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებიდამ. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50—57. ტფილისში მზე ამოდის 5—52, ჩადის 5—50; მთვარე ამოდის 5—14, ჩადის 5—29.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½	
› › 2 ›	2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	4½	›
მე-2 ხარისხისა . .	3½	›
მე-3 — . . .	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	13	›
ცხვრის ხორცი . . .	6	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ აგრეთვე.

პეტრე მირიანიშვილი

ადრესი „ივერიის“ რედაქციაშია.

(3—3)

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—14)

ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
ქილილა და დამანა
მეფის ვახტანგ VI-სა
გრიგოლ გურიელის გამოცემა
ილია ჭყონიას რედაქციით.
ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი
საქართველოს ისტორია
განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით
დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.
ნაწილი პირველი
ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.
შედგენილი და დახატული ქაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(20—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე